

რატომ დავდივართ უნივერსიტეტში ლექციებზე? – სტუდენტის აკადემიური მოტივაცია

ნათია ლაჭავაძე – ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მათე ხვედელიძე – ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

WHY GO TO A LECTURE? – STUDENT’S ACADEMIC MOTIVATION

Natia Gachava –Associate Professor, Department of Biology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Mate Khvedelidze –Associate Professor, Department of History and Archeology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi , Georgia

Abstract

Introduction and aim:

In order to monitor educational process students in the faculty of Exact and Natural Studies were interviewed. The research objective was to evaluate the quality of educational process and academic attendance of both lecturers and students as well as their performance. The students were asked a range of questions worked out by the Quality Assurance Service and this process takes place twice a year: exactly within 9-11 or 14-15 academic weeks of the term. It depends what kind of category fill in this questionnaire to assess learning process, since student differ in accordance of academic motivation.

There are two types of academic motivation: Internal and external. Internal motivation encompasses cognitive, achievement and self –motivation and their development greatly depends on student’s fundamental requirements. External motivation involves self-esteem, external motives and is related to student’s independence and competence.

Research methodology:

The questionnaire mentioned above involves a test “Academic motivation scale”(AMS)” which makes it easier to determine students’ disposition to ongoing learning process and we get concrete answers why they go to university. Test includes 28 questions with 5 points each. Based on the results students’ cognitive motivation, self motivation, academic performance and achievement, as well as external motivation and demotivation were defined.

Results and implications:

And there were approximately 250 students of eight various faculties selected to be interviewed. As a result it turned out that students don’t lack internal motivation, what’s more they have cognitive and self-esteem motivation. As for demotivation elements, they are overshadowed by the contrasted ones.

Conclusion:

Motivations mentioned above 5 out of seven got rates higher than average as they are tightly connected with each other.

Keywords: academic attendance, cognitive and self motivation, internal and external motivation and demotivation

შესავალი და კვლევის მიზანი:

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრება და მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის აკადემიურ მოტივაციაზე.

აკადემიური მოტივაციის სტრუქტურა რთული და მრავალგანზომილებიანია, რადგან მოტივებთან ერთად აერთიანებს სტუდენტის მიზნებსა და სტრატეგიებს, რომლებსაც ის ამ მიზნების მისაღწევად იყენებს. მოტივების თანაფარდობა და სტუდენტის მიერ განხორციელებული ქმედებები განსაზღვრავს სასწავლო პროცესში მისი ჩართულობის ეფექტურობას.

აკადემიური მოტივაციის 7 დამოუკიდებელი სკალა არსებობს, რომლებიც 2 ტიპად – შინაგან და გარეგან მოტივაციებად იყოფა. შინაგანი მოტივაცია აერთიანებს შემეცნებით, მიღწევების, თვითგანვითარების მოტივებს და მათი განვითარება სტუდენტის ფუნდამენტურ მოთხოვნებზეა დაფუძნებული. გარეგანი მოტივაცია აერთიანებს თვითდაფასების, ინტროეცირებულ, ექსტერნალურ მოტივებს და ის სტუდენტის ავტონომიურობასთან და კომპეტენტურობასთანაა დაკავშირებული. აკადემიური მოტივაციის მეშვიდე სკალაა ამოტივაცია.

შინაგანი მოტივაციის დროს შესრულებული ქმედება სტუდენტისთვის წარმოადგენს მიზანს, რომლის განხორციელება მას ანიჭებს სიამოვნებას. გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში შესრულებული ქმედება იმ მოტივების მიღწევის საშუალებაა, რომელთა წარმოქმნისკენ ინდივიდი მიისწრაფვის. შინაგანი მოტივაცია დაკავშირებულია შემოქმედებითი მიზნების გადაწყვეტასთან, აზროვნების, კოგნიტური უნარების განვითარებასთან, ეფექტური სასწავლო სტრატეგიების შემუშავებასთან, აკადემიურ მიღწევებთან და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან.

კვლევებმა აჩვენა, რომ შინაგანი მოტივაციის 3 სკალა (შემეცნებითი, მიღწევების, თვითგანვითარების) მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და ზომიერადაა დაკავშირებული გარეგან მოტივაციასთან. გარეგანი მოტივაციის 3 სკალა (თვითდაფასების, ინტროეცირებული, ექსტერნალური) დადებითად კორელირებს ერთმანეთთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მონიტორინგისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელდა სტუდენტების გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის მიღება სასწავლო პროცესისა და ლექტორ-მასწავლებელთა მოღვაწეობის ხარისხის შესახებ. ამ ტიპის გამოკითხვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი აკადემიური მოტივაციის მქონე სტუდენტი ავსებს კითხვარს და აფასებს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მსვლელობას. ჩვენი მიზანი იყო ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის „აკადემიური მოტივაციის სკალა“ გამოყენებით სტუდენტების აკადემიური მოტივაციის შეფასება და პასუხის გაცემა მთავარ კითხვაზე „რატომ დადიან სტუდენტები ლექციებზე უნივერსიტეტში?“

კვლევის მეთოდოლოგია:

სტუდენტის „აკადემიური მოტივაციის“ განსაზღვრისათვის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ტესტი „აკადემიური მოტივაციის სკალა (ამს)“. გამოკითხვა ტარდება ანკეტირებით და ანონიმურად, წელიწადში 2-ჯერ, თითოეული სემესტრის 9–10 ან 14-15 სასწავლო კვირის განმავლობაში.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის საფეხურის 8 სპეციალობის: მათემატიკა, ფიზიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ეკოლოგია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) 250-მდე სტუდენტმა.

ტესტი „აკადემიური მოტივაციის სკალა“ შედგება 28 კითხვისგან და თითოეულზე პასუხის გაცემა ხდება 5 ქულიანი სისტემით. სტუდენტების აკადემიური მოტივაციის შეფასებისთვის შექმნილი კითხვარი შემდეგია:

ტესტი: აკადემიური მოტივაციის სკალა

ინსტრუქცია. დაკვირვებით წაიკითხეთ თითოეული ვარიანტი. გამოიყენეთ სკალა 1-დან 5-მდე და მიუთითეთ პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს განწყობას.

1	2	3	4	5
საერთოდ არ ვეთანხმები	ნაწილობრივ არ ვეთანხმები	კიდევ ვეთანხმები და კიდევ არა	ნაწილობრივ ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები

№	რატომ დადიხართ უნივერსიტეტში?	1	2	3	4	5
1	მაინტერესებს სწავლა					
2	სწავლა მანიჭებს სიამოვნებას, მიყვარს რთული ამოცანების გადაჭრა					
3	სიამოვნებას ვიღებ, როდესაც სწავლის პროცესში ვარ მოწოდების სიმაღლეზე					
4	იმიტომ რომ მინდა დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ უნარი მაქვს წარმატებით ვისწავლო უნივერსიტეტში					
5	იმიტომ, რომ ჩემთვის სირცხვილია უსწავლელობა					
6	იმიტომ, რომ არ მაქვს სხვა არჩევანი, რადგან ხდება დასწრების აღრიცხვა					
7	მართალი გითხრათ, არ ვიცი, რადგან მგონია, რომ აქ დროს უქმად ვკარგავ					
8	მომწონს სწავლა, რადგან ეს ძალიან საინტერესოა					
9	კმაყოფილებას ვგრძნობ, როცა ვარ რთული სასწავლო ამოცანების გადაჭრის პროცესში					
10	სწავლა შესაძლებლობას მაძლევს, ვიგრძნო კმაყოფილება – საკუთარი თავის სრულყოფის პროცესში					
11	იმიტომ რომ, მიმაჩნია – როცა კარგად ვსწავლობ, საჭირო ადამიანი ვხდები					
12	სინდისი მაიძულებს ვისწავლო					
13	რათა არ მექნეს პრობლემები დეკანატთან და საგამოცდო ცენტრთან					
14	ადრე ვიცოდი, რატომ ვსწავლობდი, ახლა არა ვარ დარწმუნებული, ღირს თუ არა სწავლის გაგრძელება					
15	უბრალოდ მომწონს სწავლა და რაღაც ახლის შეცნობის პროცესი					
16	მომწონს რთული ამოცანების ამოხსნა და საკითხების სწავლა, ინტელექტუალური ძალისხმევის გამოჩენა					
17	სიამოვნების მისაღებად, რომელიც მომიტანს ახალ წარმატებებს განათლების მიღების პროცესში					
18	რათა დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ ჭკვიანი ადამიანი ვარ					
19	იმიტომ რომ სწავლა არის ჩემი მოვალეობა, რომლის უგულვებელყოფა არ შემიძლია					
20	იმიტომ, რომ ახლობლები განმსჯიან თუ ცუდად ვისწავლი					
21	ლექციებზე კი დავდივარ, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ მე ეს რამეში მჭირდება					
22	მე მართლა ვიღებ სიამოვნებას ახალი მასალის შესწავლით.					
23	უბრალოდ მიყვარს სწავლა, სირთულეების გადალახვა და მსიამოვნებს სხვადასხვა კომპეტენციების შექმნა					
24	მსიამოვნებს იმის გაცნობიერება, თუ როგორ იზრდება ჩემი ცოდნა და კომპეტენტურობა					
25	მინდა დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ შემიძლია ვიყო წარმატებული სწავლაში					
26	რადგან მოვეწყვე უნივერსიტეტში და გავხდი სტუდენტი, ვალდებული ვარ დავესწრო მეცადინეობებს და ვისწავლო					
27	არ მაქვს არჩევანი, რადგან სხვა შემთხვევაში, მომავალში არ მექნება უზრუნველყოფილი ცხოვრება					
28	დავდივარ ჩვეულებისამებრ. რატომ? გულწრფელად გითხრათ, არ ვიცი					

შედეგები:

სტუდენტების აკადემიური მოტივაციის განსაზღვრისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ტესტის „აკადემიური მოტივაციის სკალა“ (ამს) გამოყენებით დადგინდა სტუდენტების განწყობა უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის მიმართ და პასუხი გაეცა მთავარ შეკითხვას „რატომ დავდივართ ლექციებზე უნივერსიტეტში?“

რისი დადგენა გახდა შესაძლებელი კითხვარში მოცემული თითოეული სკალით?

შემეცნების მოტივაციის სკალით დადგინდა სტუდენტის ინტერესი სწავლის პროცესის მიმართ, რამდენად ანიჭებს ის სიამოვნებას, უყვარს სხვადასხვა მისთვის საინტერესო საგნების ათვისება და რამდენად განიცდის ის კმაყოფილებას ახალის შემეცნების პროცესში.

მიღწევების სკალით განისაზღვრა სწავლის პროცესში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად სტუდენტის მიერ განხორციელებული ქმედებები, ასევე რთული ამოცანების გადაჭრის პროცესში მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენის ხარისხი.

თვითგანვითარების სკალით გაიზომა სტუდენტის სწრაფვა სწავლის პროცესში სხვადასხვა უნარის განვითარებისკენ.

თვითდაფასების სკალით დადგინდა სტუდენტის სურვილი აკადემიური წარმატებების ხარჯზე აიმაღლოს თვითშეფასების მაჩვენებელი, შეიცნოს საკუთარი შესაძლებლობები და განსაზღვროს რამდენად მნიშვნელოვანია ის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის.

ინტროეცირებული მოტივით განისაზღვრა, თუ რამდენადაა სტუდენტის სწავლის პროცესში ჩართულობა საკუთარი თავისა და ახლობელი ადამიანების მიმართ ვალდებულების შეგრძნებაზე დაფუძნებული.


ექსტერნალური მოტივაციით შეფასდა სტუდენტის იძულებითი ჩართულობა სწავლის პროცესი, რომელიც განპირობებულია სოციალური მოთხოვნებითა და კარნახით.

ამოტივაციის სკალით დადგინდა სტუდენტის სწავლის პროცესის მიმართ ინტერესის არარსებობა.


როგორია ტესტირების შედეგები სპეციალობების მიხედვით? როგორც აღვნიშნეთ, გამოკითხვაში ჩართული იყო სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები. შინაგანი მოტივაციებიდან შემეცნებითი მოტივაციის მაჩვენებელი მაღალი აღმოჩნდა გეოგრაფიის, ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებში, ხოლო ყველაზე დაბალი ქიმიის სპეციალობის სტუდენტებში. მიღწევების მოტივაცია საშუალოზე მაღალია ყველა სპეციალობაში, თვითგანვითარების მოტივაცია მაღალია გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებში, ხოლო დაბალი – კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტებში. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი მოტივაციების მიხედვით რვავე სპეციალობის სტუდენტებს შორის რადიკალური განსხვავება არ არსებობს. ამასთან, სამივე მოტივაციის სკალა ერთმანეთთან მიახლოებულია, რაც ადასტურებს შემეცნებით, მიღწევების და თვითგანვითარების მოტივაციებს შორის პირდაპირ კავშირს, კორელაციას. სპეციალობების მიხედვით შინაგანი მოტივაციის განვითარების მაჩვენებლები მოცემულია სურ. 1-ზე.

სურ. 2-ზე მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს გარეგანი მოტივაციების განვითარებას სტუდენტებში. გრაფიკიდან ჩანს, რომ თვითდაფასების მოტივაცია კარგადაა განვითარებული ყველა სპეციალობის სტუდენტში და განსაკუთრებით მაღალია ბიოტექნოლოგიის, ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობებზე, ინტროეცირებული მოტივაციის მაჩვენებელი საშუალოა. ექსტერნალური მოტივაციის მაჩვენებელი ყველა სპეციალობის სტუდენტში საშუალოზე დაბალია. აქვეა მოცემული ამოტივაციის სკალაც, რომელიც ყველაზე მაღალია კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტებში და ყველაზე დაბალი ბიოტექნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებში. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის სკალებთან შედარებით ამოტივაციის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ყველა სპეციალობის სტუდენტში.

■ თვითგანვითარების მოტივაცია ■ მიღწევების მოტივაცია ■ შემეცნებითი მოტივაცია



სურ. 1. სტუდენტებში შინაგანი მოტივაციის მაჩვენებლები სპეციალობების მიხედვით



სურ. 2. სტუდენტებში გარეგანი მოტივაციისა და ამოტივაციის მაჩვენებლები სპეციალობების მიხედვით

დასკვნა:

მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტებში კარგადაა განვითარებული შინაგანი მოტივაციები და განსაკუთრებით შემეცნების, გარეგანი მოტივაციებიდან თვითდაფასების მოტივი და

ყველაზე დაბალი ამოტივაციის მაჩვენებელი. ჩამოთვლილი 7 მოტივიდან ხუთში მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია და ერთმანეთთან მიახლოებული.

შინაგანი მოტივაციის 3 ტიპი (შემეცნებითი, მიღწევების, თვითგანვითარების) ერთმანეთთან მჭიდრო – პირდაპირ კავშირშია და დადებითად კორელირებენ ერთმანეთთან, შინაგანი მოტივაციის სკალამ აჩვენა ზომიერი პირდაპირი კავშირი გარეგან მოტივაციასთან.

გარეგანი მოტივაციის 3 ტიპი ასევე დადებითად კორელირებს ერთმანეთთან, თუმცა ამ კავშირის სიდიდე რამდენადმე დაბალია შინაგან მოტივაციასთან შედარებით.

გამოყენებული წყაროები

[1]Гордеева Т.О. Базовые типы мотивации деятельности: потребностная модель.//Вестник московского университета. Серия 14. Психология. 2014. №3. с.63-78

[2]Гордеева Т.О., Сычев О.А., Осин Е.Н, Опросник «Шкалы академической мотивации»././ Психологический журнал,2014, том 35, №4, с. 96-107

[3] Amrai K., MotlaghSh.E., Zalani H.A., Parhon H. The relationship between academic motivation and academic achievement students.//Procedia Social and Behavioral Sciences 2011(15), 399-402

[4] Vallerand R.J., Pelletier L.G., Blais M.R., Briere N.M., Senecal C. The Academic Motivation Scale: A Measure of Intrinsic, Extrinsic, and Amotivation in Education.//Educational and Psychological Measurement. 1992

[5]<http://www.interventioncentral.org/behavioral-interventions/motivation/encouraging-student-academic-motivation>